



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.
www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N8
25/01/2017

8-03-4-201701251953



განკარგულება №8
25 იანვარი 2017 წელი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში ე. ნინოშვილის ქუჩა N2-ში მდებარე უძრავი ქონებების (ს/კ 26.26.54.023 და 26.26.54.047) გაერთიანების თაობაზე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის 3-ე ნაწილის, 24-ე მუხლის 2-ე ნაწილის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში ე. ნინოშვილის ქუჩა N2-ში მდებარე უძრავი ქონებების - ს/კ 26.26.54.023 (**271 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი**) და ქალაქ ოზურგეთში ე. ნინოშვილის ქუჩა N2-ში მდებარე უძრავი ქონების - ს/კ 26.26. 54.047 (**393 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი**) მათზე არსებული ვალდებულებების უცვლელად, ერთ უძრავ ქონებად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად გაერთიანება.

მუხლი 2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა